



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 126/ს
06/06/2022

126-21-4-202206061240



**ქ. ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების
სამმართველოს მიერ შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენისა და ზღვისგან დაცვის
სამუშაოების განხორციელებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ, გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. ბათუმში შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენისა და ზღვისგან დაცვის სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საპროექტო მონაკვეთები მდებარეობს ქ. ბათუმში, აეროპორტის ასაფრენი ბილიკის და ე.წ. ახალი ბულვარის მიმდებარედ. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებულია ზამთრის ძლიერი შტორმების შედეგად შავი ზღვის სანაპირო ზოლის დაზიანებული და წარეცხილი უბნების აღდგენა და ზღვისგან დაცვის სამუშაოების განხორციელება, კერძოდ, სანაპირო ზოლის 3 უბანზე, 1000 მეტრი სიგრძის მონაკვეთზე მარტივი კონსტრუქციის ნაპირგასწვრივი, რეცხვადი ბერმების მოწყობა, ასევე 412 960 მ³ პლაჟწარმომქმნელი მასალის (ბალასტი) შეტანა. საპროექტო უბნების საწყისი და ბოლო წერტილების GPS კოორდინატებია: I უბანი - X - 715466.412, Y - 4610568.009; X - 715644.834, Y - 4610837.766; II უბანი - X - 716571.212, Y - 4611934.201; X - 716736.007, Y - 4612178.462; III უბანი - X - 716765.475, Y - 4612220.768; X - 716965.266, Y - 4612515.012. საპროექტო დერეფნიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 100 მეტრით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, I უბანზე გათვალისწინებული რეცხვადი ბერმის სიგრძე შეადგენს 325 მეტრს, სიმაღლე 3 მეტრს, ხოლო სიგანე იცვლება 50 მეტრიდან 95 მეტრამდე. აღნიშნულ უბანზე შეტანილი იქნება 120 000 მ³ ბალასტი. II და III უბნები მდებარეობს ერთმანეთის მომიჯნავედ, სადაც გათვალისწინებული რეცხვადი ბერმების ჯამური სიგრძე იქნება 675 მეტრი, სიგანე - 86 მეტრი და შეტანილი იქნება ჯამურად 292 960 მ³ პლაჟწარმომქმნელი მასალა. სამშენებლო სამუშაოებისათვის საჭირო ბალასტის მოპოვება მოხდება მდ. ჭოროხზე არსებული კარიერებიდან.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენის და ზღვისგან დაცვის სამუშაოების საწყის ეტაპზე, მდ. ჭოროხზე არსებულ კარიერებზე (№1,

№2, №3, №4) განხორციელდება მოსამზადებელი სამუშაოები, კერძოდ, აღდგება კარიერებამდე მისასვლელი გრუნტის გზა, მოეწყობა და მოიხრეშება ცენტრალური გზიდან კარიერებამდე ჩასასვლელი, ასევე №3 და №4 კარიერის მიმდებარედ, წყლის გადაადგილების მიზნით, მოეწყობა დროებითი დამბა. შემდგომ ეტაპზე განხორციელდება ექსკავატორის საშუალებით კარიერებიდან ბალასტის ამოღება და მასალის სამშენებლო მოედნებამდე ბულდოზერით ტრანსპორტირება. სამშენებლო სამუშაოებში გამოყენებული იქნება ბულდოზერი, ექსკავატორი და ავტოთვიტიმცლელი. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში სამშენებლო ბანაკის და სხვა მსხვილი დროებითი ინფრასტრუქტურის განთავსება გათვალისწინებული არ არის. სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ, დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდგომ, დემობილიზებული იქნება ყველა დროებითი კონსტრუქცია. შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენის და ზღვისგან დაცვის სამუშაოების განხორციელების სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 5 თვეს და დასაქმებული იქნება 25 ადამიანი.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებისას საპროექტო ტერიტორიებზე ემისიების სტაციონარული წყაროები გამოყენებული არ იქნება. სანაპირო ზოლის აღდგენის და ზღვისგან დაცვის სამუშაოების პროცესში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც იმუშავებს მონაცვლეობით. ასევე, უმნიშვნელო ამტვერება მოხდება ინერტული მასალების მართვის პროცესში, რასაც ექნება დროებითი ხასიათი და არსებით ზემოქმედებას ვერ მოახდენს გარემოს ფონურ მდგომარეობაზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროები იქნება სამშენებლო ტექნიკა და ავტოსატრანსპორტო საშუალებები. სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, გამოყენებული ტექნიკისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, ხმაურის და ვიბრაციის გავრცელებით გამოწვეული მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. ამასთან, სამშენებლო ტექნიკა იმუშავებს მონაცვლეობით და სამუშაოები შესრულდება მხოლოდ დღის საათებში.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, სანაპირო ზოლის აღდგენის და ზღვისგან დაცვის სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, შავი ზღვის დაბინძურების რისკები ძირითადად უკავშირდება პლაჟწარმოქმნელი მასალის სანაპიროზე განთავსებისას ისეთ გაუთვალისწინებელ შემთხვევებს, როგორცაა: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა. მსგავსი შემთხვევების თავიდან აცილების მიზნით, სამშენებლო მოედნებზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. რაც შეეხება მდ. ჭოროხზე არსებული კარიერებიდან ბალასტის მოპოვებას, დოკუმენტის თანახმად, ბალასტის ამოღება განხორციელდება მდინარის წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში ხანგრძლივად დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, შესაბამის კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენები გატანილი იქნება ადგილობრივ ნაგავსაყრელზე, ხოლო სახიფათო ნარჩენები (მაგ. ზეთებით დაბინძურებული ჩვრები და სხვა) შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა

შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, საპროექტო ტერიტორიები მოწესრიგდება და აღდგება სანიტარული მდგომარეობა.

სკრინინგის განცხადებაში მოცემულია საპროექტო ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები და ჩატარებული კვლევის შედეგები. საკვლევი უბნების ამგები ქანების ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიდან გამომდინარე, საშუალოდ 20 მეტრ სიღრმემდე, გამოიყოფა 1 საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე) - კენჭნარი, კაჭარის 15-20% ჩანართებით და ქვიშა-ხრეშის 15% შემავსებლით. მასალა კარგად და საშუალოდ დამუშავებულია. დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო უბნები წარმოდგენს ზღვის სანაპირო ზოლს, რომელიც აგებულია ალუვიური ნატანით და თავისუფალია ხე-მცენარეული საფარისაგან. საპროექტო არეალში მცენარეული საფარის სიმცირე განპირობებულია ინტენსიურად მიმდინარე ეროზიული პროცესებით. ანთროპოგენური დატვირთვის და მცენარეული საფარის სიმწირის გამო, აღნიშნულ ტერიტორიებზე ცხოველებისთვის ხელსაყრელი საბინადრო გარემო წარმოდგენილი არ არის და შეინიშნება მხოლოდ სამეურნეო საქმიანობას ადვილად შეგუებადი ფრინველთა და ქვეწარმავალთა სახეობები. შესაბამისად, დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში ბიოლოგიურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საპროექტო ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ არ ფიქსირდება არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გავრცელებულია „წითელი ნუსხის“ სახეობები.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს სხვა, მსგავსი ტიპის საქმიანობის განხორციელება არ მიმდინარეობს. შესაბამისად, კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის სპეციფიკისა და მასშტაბის გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.


შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენის და ზღვისგან დაცვის სამუშაოები წარმოდგენს გარემოსდაცვით ღონისძიებას, რაც უზრუნველყოფს სანაპირო ზოლის დაცვას წარეცხვისა და დაზიანებისაგან. დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების შემდგომ, შემცირდება ზღვის სანაპირო ზოლზე მიმდინარე ინტენსიური ეროზიული პროცესების გავლენა, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება რეაბილიტირებული საპროექტო მონაკვეთების მდგომარეობა და ბუნებრივი მასალით მოწყობილი ნაგებობები დადებითად შეერწყება ლანდშაფტურ გარემოს.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.13 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. ბათუმში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ შავი ზღვის სანაპირო ზოლის აღდგენის და ზღვისგან დაცვის სამუშაოების განხორციელება არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თეიმურაზ მთივლიშვილი



სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო